

11.2019



NATIONAL GEOGRAPHIC

საქართველო



ქალები

ცვლილების ერთი საუკუნე



ფასი 7 ლარი

ISSN 2298-0512



9 772298 051002 >

ყველა როლში განსხვავებული ქათავან ქემოკლიძე

მეგონა, წლებთან ერთად სცენაზე გასვლის წინ ნერვიულობა გაივლიდა. თუმცა, ის, უბრალოდ, შეიცვალა – ახლა სულ სხვა პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

ჩვენი ნოემბრის ნომერი განსაკუთრებულია – მთლიანად ქალაქს ეძღვნება. ჩვენ 7 წლიდან ვიცნობთ ერთმანეთს და მომიხდა, ამ განსაკუთრებული ნომრისთვის სწორად შენთან, დღეს უკვე წარმატებულ, კლიარ ქალთან ჩამეწერა ინტერვიუ. დიდი მადლობა, რომ დაგვთანხმდი.

პირიქით, დიდი მადლობა შენ, მიხარია, რომ სწორედ მე გავხდი თქვენი ჟურნალის რჩეული და საქმემ ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს.

მასწავლებელს, გავშვობიდან გიყვარდა ლიდერობა, საქმთაქალაქის თამაში, მაშინ თუ ფიქრობდი, რომ შეიძლებოდა შენი ცხოვრება სცენასთან დაგვეკავშირებინა?

ჰო, ყოველთვის მიყვარდა სცენა, იმპროვიზაცია. თეატრი მაინც ირეალური სამყაროა და აი, ამ ირეალურ სამყაროში ცხოვრება მიყვარდა. ჩემი მშობლები მეცნიერები არიან და შეხება არ ჰქონდათ სცენის მიღმა თეატრალურ ცხოვრებასთან, თუმცა სამი წლიდან დაგყავდით ოპერაში. სულ მაინტერესებდა, რა ხდებოდა კულისებში. ლიდერობაც ყოველთვის მახასიათებდა და ჩემი პირველი დამრიგებელი დედაჩემს ხშირად ეუბნებოდა – ეს, ალბათ, ან კარგი ადამიანი გამოვა, ან რაიკომის მდივანიო. სულ მიყვარდა ორგანიზე-



ქეთევან ქაშოკლიძე

2006 წელს ჰ.გ. ბელგედერის საერთაშორისო კონკურსზე მოგებული ლა სკალას საოპერო თეატრის სპეციალური პრიზით უგამოცდოდ ჩაირიცხა ამავე თეატრთან არსებულ აკადემიაში, რასაც მოჰყვა მისი მსოფლიო მასშტაბის წარმატება. დღეს იგი მსოფლიო საოპერო სცენის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მომღერალია.

ბულად ღონისძიებების, სპექტაკლების მოწყობა. დედა ამბობს, რომ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, შვებით ამოისუნთქა, რადგან ჩემი რაიკომის მდივნობა უკვე გამორიცხული იყო.

ჩვენ საკამოდ რთული 90-იანი წლები გამოვიარეთ ერთად, ფორტაინანოზაც ერთ სკოლაში დავდიოდით, გაყინულ საკლასო ოთახებში ვმეცადინეობდით მუსიკას. თუმცა, საოპერო მუსიკა შენს ცხოვრებაში საკამოდ გვიან შემოვიდა, არა?

დიახ, ნამდვილად, საოცარი წლები გამოვიარეთ ერთად, ამის შესახებ ევროპაში რომ ვყვები ხოლმე, მეუბნებიან, ასე ჩვენი ბებიები და ბაბუები ლაპარაკობდნენ ხოლმეო. ჩვენ, სამწუხაროდ, რალაც გაგებით – საბედნიეროდაც, მოგვინია გვეცხოვრა პერიოდში, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გვასწავლა და დიდი ძალა მოგვცა. მე რომ მუსიკალური სკოლა დავამთავრე, მთლიანად ჩემი პედაგოგის, ნანა მურადაშვილის დამსახურებაა, რადგან მას ბოლომდე სწამდა, რომ რალაც განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი მქონდა, თუმცა ფორტეპიანოში ისეთი ზარმაცი ვიყავი, რომ ჩემს ნიჭიერებას აზრი



ახალგაზრდა ქალებს გურჩევდი, რომ ისწავლონ, განათლება, საკუთარი თავის იმედი და საკუთარი უფლებების ცოდნა არის გზა წარმატებისკენ.





ქეთევან ქემოკლიძე როზინას როლს ასრულებს ჯოაკინო როსინის ლეგენდარულ ოპერაში „სევილიელი დალაქი“, სანტიაგოს მუნიციპალური საოპერო თეატრი ჩილეში.

ეკარგებოდა. ხატვა და სიმღერა მიყვარდა. ერთ-ერთი ხალხური სიმღერის კონცერტის შემდეგ დედას ურჩიეს, რომ საოპერო მუსიკაში მეცადა ბედი და მიმიყვანეს გულიყო კარიაულთან, ჩემს პედაგოგთან, რომელთანაც კონსერვატორიაში დღემდე ვმუშაობ. მასსოვს ბატონი ნოდარ ანდლულაძე, რომელმაც საგამოცდოდ მომიხმინა და თქვა – ამ გოგონას პირდაპირ კარმენის არია მიეცითო. ასე შევედი საოპერო სამყაროში, მაგრამ გადაწყვეტილება საკმაოდ გვიან მივიღე, მხოლოდ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე.

ეკონომიკის ფაკულტეტზე რატომ ჩააბარე?

არ ვიცი, ამბობენ, რომ მათემატიკის ნიჭი მქონდა, ჩემი მეუღლე ეკონომისტი და ახლა, როდესაც ვადარებ, ვხვდები, რომ ეს ნიჭი ძალიან შეფარდებითი იყო. იმ პერიოდში ხატვით და მუსიკით ვერ იცხოვრებდი.

რას ურჩევდი ახალ თაობას პროფესიის არჩევის მომენტში?

სიმართლე რომ გითხრა, მე საკმაოდ ჯიუტი ადამიანი ვარ და არასოდეს ვაკეთებდი იმას, რაც ჩემი სურვილიც არ იყო. საერთაშორისო ეკონომიკურზე ჩაბარებაც მე თვითონ გადავწყვიტე, რადგან ვხვდებოდი, რომ გარკვეული ტიპის მყარი ბაზა უნდა მქონოდა, ამიტომ არასოდეს მინანია, რომ ეკონომიკა ავირჩიე. ახალგაზრდებს ვურჩევ, რომ საერთოდ არ იყვნენ სწორხაზოვნები და ვინროდ მოაზროვნეები, ყოველთვის ძალიან ფართოდ იფიქრონ. შეიძლება ჩააბარონ ეკონომიკურზე, ხვალ ჩააბარონ სამხატვრო აკადემიაში, ზეგ საერთოდ ფიზიკის ფაკულტეტზე; მათ უნდა სცადონ ყველაფერი და სადაც თავის თავს იპოვიან, იქ განვითარდნენ ბოლომდე. ოღონდ, საკუთარი თავის პოვნას პასუხისმგებლობაც ახლავს თან. საკუთარი თავის პოვნაა, როდესაც რასაც აკეთებ, გსიამოვნებს და ამ საქმით ეკონომიკურ დოვლათსაც ქმნი. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანმა ჰობის დონეზე არ უნდა დაიტოვოს საკუთარი პროფესია.

როგორ ფიქრობ, წარმატებისთვის რამდენი წილი ნიჭი და რამდენი წილი შრომაა საჭირო?

50-50-ზე – ნიჭი ინტუიციურად გკარნახობს იმას, თუ სად უნდა იშრომო, რა არის შენი სუსტი წერტილი, რაზე უნდა გაამახვილო ყურადღება. ნიჭი ხელოვნებაში ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა შრომის გარეშე მას ფასი არ აქვს. როდესაც მეკითხებიან, შენი ძლიერი მხარე რა არისო, ვპასუხობ, რომ ეს არის საკუთარი მარცხის, რაღაცის არ გამოსვლის კარგად ფლობა. მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი წარმატებისთვის მარცხის გადალახვით მიმიღწევია.

იმედგაცრუებას, დეპრესიას არ შეუპყრინხარ?

რა თქმა უნდა, მეც განმიცდია იმედგაცრუება და შეგრძნება, რომ რაღაც მორჩა, მაგრამ ჩემთვის ეს მაინც ყოველთვის რაღაც ახლის დასაწყისი იყო და არა დასასრული – როდესაც პრობლემას აღიქვამ, როგორც რაღაცის დასაწყისს, მაშინ ყოველთვის ახერხებ მის გადაჭრას.

რას ეტყვი შენი შვილების თაობას, რომელსაც ჩვენზე ბევრად მეტი შესაძლებლობები აქვს?

ვეტყვი, რომ მათ ბევრი რამ მართლაც ლანგრით აქვთ მირთმეული, მაგრამ, რაც ყველაზე მეტად აკლიათ, ცხოვრებისეული გამოცდილებაა. ჩვენ ის თაობა ვართ, რომელმაც ბევრი გასაჭირი გამოვიარეთ და გვინდა, რომ ჩვენი შვილები ამას ავარიდოთ. შეიძლება, ეს სწორი არ არის, რადგან მათაც უნდა მიიღონ ცხოვრებისეული გამოცდილება – ცუდიც და კარგიც. ჩვენ ჩვენი მშობლები არ გვარიდებდნენ სირთულეებს, ვერც ავგარიდებდნენ, საყოველთაო პრობლემები იდგა ქვეყანაში – ეს არ იყო ერთი ოჯახის, ერთი ბავშვის, დედის და მამის პრობლემა. ჩვენ შვილებს ეს გარემო არ აქვთ, ამიტომ მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ მიიღონ ცხოვრებისეული გამოცდილება, ჩვენ კი უნდა ვეცადოთ, მივცეთ მათ დამოუკიდებლობა. ხელოვანისთვის ყველა გამოცდილება ემოციად იქცევა, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემს ბავშვობის ემოციებს, 90-იანი წლების შიმშილით დაწყებული, შუქის მოსვლის სიხარულით დამთავრებული, ყოველთვის შემოქმედებითად ვუდგები და ეს დღემდე ძალიან მადგება.

მსოფლიოს შენ არა მხოლოდ სიმაღლით, არამედ საოცარი გარდასახვის უნარითა და სამსახირო ოსტატობით აოცებ. რაცინაუნტაგი წერენ, რომ ძეითვეან ძემოკლიძის სავეტაქლზე მხოლოდ ოპარის მოსასამენად კი არა, სრულყოფილი წარმოდგენის სანახავად მიდიან, სადაც მსახიროვი ყველა გათვლილი ნიუანსით ხატავს გმირის ხასიათს. როგორ ახერხებ ამას?

გმადლობთ, ვფიქრობ, რაღაც გამოცდილებით მოდის, რაღაც ნიჭით. პერსონაჟების გახსნა და ნიუანსების დანახვა, ალბათ, მაინც ნიჭის დამსახურებაა, მაგრამ არის იმ საერთო განათლების, ემოციების ხურჯინის დამსახურებაც, რომელიც მე დავაგროვე. ბავშვობიდან ძალიან ბევრს ვკითხულობდი, ვხატავდი, ვსწავლობდი ხელოვნების ისტორიას და ამ ყველაფერმა, ალბათ, განაპირობა ჩემი ემოციური ზრდა. როდესაც როლზე მუშაობ, შეიძლება რომელიმე ნახატისგან ან ფილმისგან მიღებული ემოცია დაგეხმაროს. მთავარი მაინც ისაა, რომ კარგად დავინახო ის, რაც მინდა ვთქვა მე როგორც მომღერალმა. მთავარი, რაც მე როლს მახსენებებს, მუსიკაა, რადგან მუსიკას თავისი დრამატურგია აქვს. ამიტომ მუსიკალური ტექსტის სწორი წაკითხვა ძალიან მნიშვნელოვანია.

რამდენად თავისუფლად შეგაძვს შენი პიროვნული შტრიხები თითოეულ როლში?



მე ვიცი, რა შემოძლია, ვიცი, როგორ მივალწით იმას, რაც შემოძლია და მიმაჩნია, რომ ჩემი უფლებების დამრღვევი ადამიანი დედამიწაზე არაგინ დაბადებულა, რადგან მე ჩემს უფლებებს ვიცნობ და ჩემი თავის იმედი მაქვს. ამას თუ გინდო ფემინიზმში ჩამოთვლის, გამოდის, რომ ფემინისტი ვყოფილვარ.





ზოგადად, ძალიან ბედნიერი ვარ ამ ცხოვრებით. რასაკვირველია, მინდა რაღაცები უკეთ იყოს, მაგრამ ეს ალბათ ბუნებრივია.



შედეგ თუ არა სპექტაკლი

ვხვდები, როდესაც მართლა მაგნიფიკენტია, რომ ვარ ქეთევან ქემოკლიძე... არის ჯადოსნური მომენტები, როდესაც გაქვს შეგრძნება, რომ საკუთარ თავს გვერდიდან უყურებ... არის მომენტები, როდესაც გრძნობ, რომ დარბაზი მართლა შენთან ერთად სუნთქავს და პაუზის დროს შეიძლება არც ისუნთქოს. აი, როდესაც ასეთი მომენტები დგება, მიჩნდება განცდა, რომ სპექტაკლი შედგა. აპლოდისმენტები ყოველთვის არ განსაზღვრავს იმას, შედგა თუ არა სპექტაკლი – ზოგჯერ სიჩუმე უფრო მეტს გეუბნება. შედგა თუ არა სპექტაკლი, ვიცი, როდესაც მთავრდება წარმოდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უფრო მეტად ვართ მოქცეულნი ჩარჩოებში, ვიდრე, ვთქვათ, ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგენლები, რადგან მუსიკალური ტექსტზე ვართ მიბმული, ხელოვნება მაინც გვაძლევს თავისუფლებას. მუსიკალური ტექსტი გარკვეულწილად გვსაზღვრავს, მაგრამ იმ საზღვარს მიღმა ჩვენ გვაქვს საშუალება, გაეხსნათ როლი ძალიან ჩვენებურად. მსოფლიოში მილიონობით კარმენი არსებობს და იარსებებს, მაგრამ როდესაც შენ შენ რაღაცას შემატებ ამ როლს, იმ დროს ხდება ის მნიშვნელოვანი და საინტერესო.

რამდენად ეთანხმები მოსაზრებას, რომ ხელოვნება და პოლიტიკა ერთმანეთთან კავშირში არ არის?


არ ვეთანხმები. ჩემი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არაერთხელ მითქვამს უარი კონცერტის ჩატარებაზე. ხშირადაც არ ვლაპარაკობ ამაზე და არ ვამბობ, რომ, რადგან ეს გაეაკეთე, ამიტომ კარგი ქართველი ვარ – ვთვლი, რომ კარგი ქართველობა ბუნებრივი მდგომარეობა უნდა იყოს, ამიტომ არც ჩემს თავს და არც სხვას ამას არ ვუმტკიცებ. მე ვფიქრობ, რომ ხელოვნებას დიდი ძალა აქვს. არ ვიცი, ჩემი კონკრეტული უარით ან თანხმობით რამდენის გაკეთებას შეეძლებ პოლიტიკურად, მაგრამ არის პრინციპები, რომელთა ერთგული ვარ და ვფიქრობ, რომ უნდა ვიყო კიდევ.

XXI საუკუნეში ხელოვნება ძალიან ხშირად არის პოლიტიკური მისიონების გამტარებელი, ხშირად ხელოვნები ძალიან დიდ სათქმელს აგზობენ. შენ ძალიან საინტერესო კარმენის სახე შექმენი აზრის და მემსიკის საზღვარზე.

ჰო, ეს ძალიან საინტერესო დადგმა იყო. ოპერაში დღეს ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რამდენად შეიძლება დადგმაში თანამედროვე ელემენტების შეტანა, რამდენად ტრადიციულები უნდა ვიყოთ. თეატრს აქვს ერთი დიდი უპირატესობა – თანამედროვე ნაწარმოებები დღევანდელ რეალობას ასახავს. ჩვენ ეს ფუფუნება არ გვაქვს, რადგან თანამედროვე ოპერების დიდი ნაწილი ისეთი მაღალი მხატვრული დონის სამწუხაროდ არ არის, როგორც წინა საკუნეების. შესაბამისად, ერთადერთი გზა, რომ თანამედროვეობას გამოეხამურო, რეჟისურაა. ამიტომ, მე არასოდეს ვენინააღმდეგები თანამედროვე დადგმას. რომის კარაკალას დადგმა, რომელიც მექსიკის და აშშ-ის საზღვარზე შესრულდა, გამოეხამურა იმ პრობლემას, რომელიც ორი წლის წინ აქტიურად იდგა ამერიკულ პოლიტიკურ რეალობაში – კარმენი წარმოჩენილი იყო როგორც მექსიკელი ლტოლვილი ქალი, ხოლო დონ ხოსე იყო ამერიკელი მესაზღვრე. სცენაზე ძალიან კარგად იყო ნაჩვენები ლტოლვილების მიერ საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული პრობლემები, მსხვერპლი, განცდები... დადგმამ საკმაოდ ფართო მასშტაბის დისკუსია გამოიწვია არა მხოლოდ სახელოვნებო სივრცეში. ჩემი აზრით, რეჟისორმა ვალენტინა კარასკომ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და განსაკუთრებული კარმენი დადგა, რადგან შეძლო წინ წამოენია არამარტო მექსიკისა და აშშ-ის საზღვარზე არსებული პრობლემები, არამედ ზოგადად ქალის პრობლემები, რომლებიც ჩვენს საუკუნეში დგას.

შენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს ქალები დგანან?

ის, რომ ქალები გამოწვევის წინაშე ვდგავართ, ეს თავისთავად უკვე დიდი გამოწვევაა. მე ვენინააღმდეგები იმ აზრს, რომ ჩვენ მამაკაცებს შევედაროთ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არავისთან არაფერი შესადარებელი არ გვაქვს. ჩვენ ვართ ქალები და აი გამოწვევაც სწორედ ეს არის – რომ ჩვენ ვიყოთ ისეთები, როგორებიც ვართ. ჩვენი სიკეთებით, ჩვენი შესაძლებლობებით, ჩვენი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, ვიყოთ – ჩვენ. მე ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენ მამაკაცებთან შედარებაში კი არ უნდა ვხარჯავდეთ დროს,



ქეთევან ქემოკლიძე
იზოლიერის როლში
წარმოგვიდგენს ძლიერ
ქალის სახეს ტოაკი-
ნო როსინის ოპერაში
„გრაფი ორი“, მალმოს
ოპერა, შვედეთი.

არამედ ჩვენი ცხოვრობის მონყობაში, ჩვენი როლების შექმნაში და ქალის ინსტიტუტის წინ წამოწევაში.

თვითონ რომელ გმირს ამსახვსება ყველაზე მეტად თავს?

არ ვიცი, არ მიფიქრია ამ თემაზე, ძალიან საინტერესო კითხვაა და თან დამაბნეველი. ვის ვამსგავსებ საკუთარ თავს? – გავროშს, „საბრალონიდან“, რომელიც სპილოში ცხოვრობდა.

რატომ?

იმიტომ, რომ მეც ძალიან ადრე დავიწყე დამოუკიდებლად ცხოვრება, იმიტომ, რომ შვიდი წლის ასაკში ნუცუბიძიდან მარტო მივდიოდი კოლმეურნეობის მოედანზე ხატვაზე. ხომ გახსოვს, აქ რა ხდებოდა 90-იანებში... მახსოვს, ხშირად დავმალულვარ მინისქვეშა გადასასვლელში, ვილაცას შევცოდებოვარ და სახლში შევუყვანივარ... ეს იმიტომ კი არა, რომ ჩემს მშობლებს ჩემთვის არ ეცალათ – უნდა ემუშავათ იმიტომ, რომ გადარჩენის სხვა გზა არ იყო და მე ჩემი გადარჩენის გზა ვიპოვე. ამიტომ ალბათ – გავროში, იმ რევოლუციონერ ბავშვთან რაღაც საერთო მაქვს. □